



უ ს კ ო

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის
ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის
ა ნ გ ა რ ი შ ი

შინაარსი	3
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	3
საარჩევნო კანონმდებლობა	4
საარჩევნო ადმინისტრაცია	4
საარჩევნო სუბიექტები	5
ამომრჩეველთა სია	6
არჩევნების მონიტორინგი და მედია	6
არჩევნების დღე	7
საჩივრების განხილვა	8
საარჩევნო კამპანიის ხარჯები.....	8
არჩევნების შედეგების დამუშავება.....	8
საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა	9
უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგები	28

შესავალი

საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის №03/06/03 განკარგულებით 2016 წლის 8 ოქტომბერს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 21 ოქტომბრის №45 განკარგულებით 2016 წლის 30 ოქტომბერს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური.

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საქართველოს პარლამენტის არჩევნების პარალელურად გაიმართა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიშს, უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ. საარჩევნო ადმინისტრაციამ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისათვის მიიღო გადაწყვეტილება შეემუშავებინა სტრატეგია და გეგმაზომიერად ემოქმედა. მთავარი გამოწვევა, რომელიც იდგა საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე იყო საზოგადოების დაბალი ნდობა საარჩევნო პროცესის მიმართ. ამ პრობლემის დაძლევა ვერ მოხდებოდა მყისიერად, თუმცა მიზანმიმართული მოქმედების შედეგად შესაძლებლად მიჩნეულ იქნა მნიშვნელოვანი წინსვლის მიღწევა, რომლის შეფასების კრიტერიუმებად განიხილებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ.

როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების განცხადებაშია აღნიშნული – მთლიანობაში საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი ნდობა ჰქონდა და იგი არჩევნების მზადების პროცესს პროფესიონალურად წარუძღვა. უმაღლესი საარჩევნო კომისია მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ეფექტურად და გამჭვირვალედ მოქმედებდა. საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიებისა და მედია წარმომადგენლებისთვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 15 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 6 დეპუტატისაგან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტს მაინც.

საარჩევნო კანონმდებლობა

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) დადგენილებები ქმნიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობას.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ადგენს, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, არჩევნებში მონაწილეთა უფლებებსა და გარანტიებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საარჩევნო დავის განხილვის წესს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:

- ა) უსკოსა და მისი აპარატისგან;
- ბ) საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;
- გ) საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

უსკო შედგება თავმჯდომარისა და 5 წევრისაგან, ხოლო საარჩევნო პერიოდში თავმჯდომარისა და 12 წევრისაგან. უსკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის უსკოს წევრი. უსკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად იწვევს მისი წევრობის შეწყვეტას. უსკოს თავმჯდომარეს და 5 წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს უმაღლესი საბჭო, ხოლო უსკოს 7 წევრს საარჩევნო პერიოდში ნიშნავენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშნვიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის განმავლობაში. უსკოს თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 5 წლით, გარდა ამ კანონით განსაზღვრული წესით პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დანიშნული კომისიის წევრებისა, რომელთა უფლებამოსილების ვადაც განისაზღვრება არჩევნების დანიშნვიდან ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით, ხოლო შუალედური/ხელახალი არჩევნების შემთხვევაში კი არჩევნების შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული არჩევნების ჩატარებისას, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად, შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები ექვემდებარება უსკოს.

ვინაიდან, 2016 წლის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა ერთდროულად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებდნენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად, საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

საარჩევნო სუბიექტები

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (შემდგომში – პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით მომართა 28 პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რეგისტრაცია კი გაიარა 27 პოლიტიკურმა გაერთიანებამ.

რეგისტრირებული 27 პოლიტიკური გაერთიანებიდან 2 პოლიტიკური გაერთიანების საარჩევნო რეგისტრაცია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ბათილად იქნა ცნობილი, 5 პოლიტიკურ გაერთიანებას გაუუქმდა საარჩევნო რეგისტრაცია პარტიული სიის არ წარმოდგენის გამო.

9 პოლიტიკურმა გაერთიანებამ შექმნა 4 საარჩევნო ბლოკი ხოლო 11 პოლიტიკური გაერთიანება დამოუკიდებლად მონაწილეობდა არჩევნებში.

საარჩევნო ბლოკები

1. „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“;
2. „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“;
3. „ჩვენები - სახალხო პარტია“;
4. „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები:

1. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
2. „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
3. „უსუფაშვილი - რესპუბლიკელები“;
4. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
5. „ეროვნული ფორუმი“;
6. „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატიები“;
7. „თამაზ მუქიაური ერთიანი საქართველოსთვის“;
8. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
9. „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ ;
10. „დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისათვის“;
11. „მურმან დუმბაძე - მედეა ვასაძე - ემსახურე საქართველოს“.

ამომრჩეველთა სია

უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ერთიანი სია არის აქტიური საარჩევნო უფლების მქონე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება არჩევნების თარიღის გამოცხადებისას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირება ხორციელდება საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად. საარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილების განხორციელება ხდება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით.

არჩევნების დანიშნვიდან 5 დღის ვადაში და შემდგომ, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ცესკო უსკოს გადასცემს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ერთიან სიას. უსკო თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის შესახებ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის ყოველ საარჩევნო ოლქში.

ვინაიდან, 2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს პარლამენტის არჩევნები ერთდროულად გაიმართა, „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრული საერთო არჩევნებისათვის ფორმირებული ამომრჩეველთა ერთიანი სია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, წარმოადგენდა უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიან სიას.

არჩევნების მონიტორინგი და მედია

არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

ვინაიდან, 2016 წლის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ერთდროულად გაიმართა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე დაკვირვებისათვის, თუ ისინი რეგისტრირებული იყვნენ ცესკოში, დამატებით უსკოში რეგისტრაცია არ სჭირდებოდათ. შესაბამისად, ცესკოში რეგისტრირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს დამკვირვებლებს ჰქონდათ უფლება დაკვირვება განეხორციელებინათ, როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე, ხოლო თუ ცესკოში რეგისტრირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ექნებოდათ სურვილი დაკვირვება უშუალოდ უსკოში განეხორციელებინათ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, მათ უფლება ჰქონდათ განცხადებით მოემართათ უსკოს მდივნისათვის დამკვირვებლების უსკოში დანიშვნის შესახებ.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს.

წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) წარმოება და საინფორმაციო უზრუნველყოფა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-თ დადგენილი წესითა და დადგენილი ვადებით.

რებრენდინგი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ პირველ რიგში შეცვალა ადმინისტრაციის ლოგო, ვებ-გვერდი და სლოგანი. ახალი, მარტივი, გრაფიკული ლოგო შემდგომში გამოიყენა სარეკლამო-საინფორმაციო რგოლებსა და ფლაერებში. ცნობადობის ამაღლების მიზნით, რებრენდინგის ფარგლებში დამზადდა ბრენდირებული კალმები, ბლოკნოტები, მუყაოს ჩანთები, მაისურები, აბრა, შტენდერი და ტრიბუნა.

წინასაარჩევნო პროცესი - საზოგადოების ინფორმირების მიზნით უსკომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია განახორციელა. მომზადდა სოციალური-საინფორმაციო ტიპის სატელევიზიო რეკლამები, ასევე დამზადდა საინფორმაციო ფლაერები ამომრჩეველთათვის, საინფორმაციო რეკლამები განთავსდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, აჭარის ტელევიზიასა და რადიოში და კერძო ტელეკომპანია „TV-25“-ზე, ასევე განთავსდა უსკოს ვებ-გვერდზე.

არჩევნების დღე

როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში 07:00 საათზე გაიხსნა ყველა საარჩევნო უბანი, ხოლო 08:00 საათზე შეუფერხებლად დაიწყო კენჭისყრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ექვსივე საარჩევნო ოლქში შემავალ 348 (მეორე ტურში 347) საარჩევნო უბანზე. ყველა საარჩევნო უბანი დაიხურა კანონმდებლობით დადგენილი წესით 20:00 საათზე. არჩევნები მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში, ამომრჩეველებს მიეცათ სრული შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი ნება თავისუფლად და შეუფერხებლად, რაიმე სახის გართულებებს ან შეფერხებებს ადგილი არ ქონია.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაგეგმა და ორგანიზება გაუწია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას. კერძოდ, კენჭისყრის დღეს (როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში) გაიმართა ბრიფინგი 09:00, 12:30 და 18:00 საათზე, რომელზეც უსკოს თავმჯდომარემ, საზოგადოებას მიაწოდა სრული ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ, ხოლო 21 საათზე

თავმჯდომარემ გამართა შემაჯამებელი ბრიფინგი და საზოგადოებას გააცნო 2016 წლის 8 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა და მიაწოდა ინფორმაცია კენჭისყრის მიმდინარეობის შესახებ.

საჩივრების განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში (პირველ და მეორე ტურში) საარჩევნო კომისიებში შემოვიდა 328 განცხადება და საჩივარი.

საარჩევნო კომისიებმა განიხილეს ადმინისტრაციაში შემოსული ყველა განცხადება და საჩივარი, განხილვის პროცესი მიმდინარეობდა საჯაროდ, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს საჩივრების ელექტრონული რეესტრის მეშვეობით, შეეძლო მიეღო (გაცნობოდა) ნებისმიერი ინფორმაცია.

საარჩევნო კამპანიის ხარჯები

საარჩევნო კამპანიის ხარჯების შესახებ ანგარიშის წარდგენა, საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნისა და განკარგვის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-თ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დადგენილი ვადებითა და დადგენილი წესით.

ვინაიდან, 2016 წლის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა ერთდროულად, უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტი, თუ იგი ასევე მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში (გარდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფისა) სარგებლობდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისათვის გახსნილი საარჩევნო ფონდიდან და დამატებით უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო ფონდის გახსნა არ მოეთხოვებოდა.

არჩევნების შედეგების დამუშავება

არჩევნების შედეგების დამუშავებისათვის შესაბამისი სამსახურების მიერ აიწყო და გაიმართა არჩევნების შედეგების ვებ-გვერდზე გამოტანის სისტემა, გაიმართა სერვერები, როგორც შედეგების გვერდისათვის, ასევე მონაცემთა ბაზებისათვის, შეიქმნა გარკვეული პროგრამული უზრუნველყოფა და გატარდა ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო წინასწარი შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალებას.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა

საერთო სამსახური

საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაცია

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით მომართა 28 პოლიტიკურმა გაერთიანებამ:

№	სახელწოდება
1	პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
2	პ/გ „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
3	პ/გ „ცენტრისტები“
4	პ/გ „საქართველო“
5	პ/გ „მემარცხენე ალიანსი“
6	პ/გ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“
7	პ/გ „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“
8	პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
9	პ/გ „ჩვენი სამშობლო“
10	პ/გ „ეროვნული ფორუმი“
11	პ/გ „სახალხო ხელისუფლება“
12	პ/გ „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“
13	პ/გ „სახალხო პარტია“
14	პ/გ „თავისუფალი დემოკრატები“
15	პ/გ „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“
16	პ/გ „მამული, ენა, სარწმუნოება“
17	პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
18	პ/გ „ახალი მემარჯვენეები“
19	პ/გ „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“
20	პ/გ „ნეიტრალური საქართველო“
21	პ/გ „ერთიანობის დარბაზი“
22	პ/გ „დემოკრატიული განახლება - ჩვენი საქართველო გაბრწყინდება (ჩვენები)“
23	პ/გ „საქართველოს მშვიდობისათვის“
24	პ/გ „თავისუფალი საქართველო“
25	პ/გ „ემსახურე საქართველოს“
26	პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“
27	პ/გ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“
28	პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“

დოკუმენტაციის პირველადი შემოწმების (განცხადების, წესდების, რეგისტრაციის მოწმობის შესაბამისობის დადგენა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან) შემდგომ მომზადდა 35 დასკვნა, რომელთაგან ოთხი პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლებს გაეგზავნათ ხარვეზის წერილები. შესწორებული დოკუმენტაცია წარმოადგინა ოთხივე პოლიტიკურმა გაერთიანებამ.

შემოწმდა ერთი პოლიტიკური გაერთიანების („ემსახურე საქართველოს“) მხარდამჭერთა სია, რის საფუძველზეც მომზადდა მხარდამჭერთა სიის შემოწმების აქტი, ხოლო ერთმა პ/გ

(„ერთიანობის დარბაზი“) არ წარმოადგინა მხარდამჭერთა სია შესაბამისად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე .

საბოლოოდ რეგისტრაციაში გატარდა 27 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება.

რეგისტრირებული 27 პოლიტიკური გაერთიანებიდან ორის („ცენტრისტების“ და „ნეიტრალური საქართველოს“) საარჩევნო რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო ხუთ პოლიტიკურ გაერთიანებას („საქართველო“, „კახა ძაგანია, სოსო შატერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე - მემარცხენე ალიანსი“, „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“, „სახალხო ხელისუფლება“ და „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“) გაუუქმდა საარჩევნო რეგისტრაცია პარტიული სიების კანონით დადგენილ ვადაში არ წარმოდგენის გამო.

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნებში პროპორციული სისტემით მონაწილეობა მიიღო 15-მა საარჩევნო სუბიექტმა მათ შორის ოთხმა საარჩევნო ბლოკმა, ხოლო დანარჩენი საარჩევნო სუბიექტები დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ არჩევნებში.

№	პარტიის/საარჩევნო ბლოკის დასახელება	
1	პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	
2	პ/გ „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	
3	პ/გ „უსუფაშვილი - რესპუბლიკელები“	
4	პ/გ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	
5	პ/გ „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“	
6	პ/გ „ეროვნული ფორუმი“	
7	პ/გ „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“	
8	პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	
9	პ/გ „დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისათვის“	
10	პ/გ „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“	
11	პ/გ „მურმან დუმბაძე - მედეა ვასაძე - ემსახურე საქართველოს“	
12	ბლოკი „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“	1. პ/გ „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“
		2. პ/გ „გიორგი ვაშაძე-ახალი საქართველო“
		3. პ/გ „ახალი მემარჯვენეები“
13	ბლოკი „თოფაძე-მრეწველები, ჩვენს სამშობლო“	1. პ/გ „თოფაძე-მრეწველები“
		2. პ/გ „ჩვენს სამშობლო“
14	ბლოკი „ჩვენები - სახალხო პარტია“	1. პ/გ „ჩვენები“
		2. პ/გ „სახალხო პარტია“
15	ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“	1. პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“
		2. პ/გ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“

რეგისტრირებული 15 საარჩევნო სუბიექტიდან „საქართველოს ერთიანი კომუნისტურ პარტია“-ს არ წარუდგინა არცერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატი, საარჩევნო სუბიექტმა „დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისათვის“ მაჟორიტარი კანდიდატი წარადგინა მხოლოდ N68 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, საარჩევნო ბლოკმა „ჩვენები - სახალხო პარტია“ მაჟორიტარი კანდიდატები წარადგინა N69, N70, N71 და N72 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო დარჩენილმა 13-მა საარჩევნო სუბიექტმა ყველა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინეს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად მაჟორიტარი კანდიდატები.

საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი ყველა მაჟორიტარი კანდიდატი გატარდა საარჩევნო რეგისტრაციაში, მათგან №73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საარჩევნო ბლოკის „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“-ს მიერ წარდგენილმა მაჟორიტარმა კანდიდატმა პირადი განცხადებით უარი თქვა მაჟორიტარ კანდიდატად არჩევნებში მონაწილეობაზე.

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მხოლოდ №72 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირდა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატი, რომელმაც შემდგომში კანონით დადგენილ ვადაში პირადი განცხადებით უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე.

პროპორციული საარჩევნო სისტემით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა 393 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, მაჟორიტარული სისტემით კი 76 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი (სულ 469).

პარტიული სიები

პარტიული სია წარადგინა 15-მა საარჩევნო სუბიექტმა:

არჩევნებში პარტიების რიგითი №	სახელწოდება
1	„პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“
3	„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
6	„უსუფაშვილი - რესპუბლიკელები“
7	„თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“
8	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
10	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
14	„დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისათვის“
16	„საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“
19	„თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“
23	„ჩვენები - სახალხო პარტია“
26	„ეროვნული ფორუმი“
27	„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“
31	„მურმან დუმბაძე - მედეა ვასაძე - ემსახურე საქართველოს“
41	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საერთო სამსახურის მიერ შემოწმდა 15-ვე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია და შესაბამისი რაოდენობის სააღრიცხვო ბარათები, რის შედეგადაც მომზადდა 28 დასკვნა და 13 ხარვეზის წერილი. 15-ვე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია გატარდა საარჩევნო რეგისტრაციაში.

საერთო სამსახურის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა სამსახურებთან ერთად შემუშავებული და შემდგომ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი იქნა რიგი დადგენილებების და განკარგულებების პროექტები.

მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უსკოს აპარატის საერთო სამსახური უზრუნველყოფდა კორესპონდენციის მიღებას, აწარმოებდა შემოსული და გასული წერილების ჟურნალს და საქმისწარმოების ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემის რეესტრს. ყველა სახის კორესპონდენციის რეგისტრაცია ხდებოდა eDocument - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საერთო სამსახურში სულ შემოვიდა 274 კორესპონდენცია, საერთო სამსახურიდან კი გაგზავნილ იქნა 129 წერილი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უსკოს 27 სხდომის მომზადება, ჩატარება და შესაბამისი რაოდენობის სხდომის ოქმის გაფორმება. მომზადდა უსკოს 54 განკარგულება, მომზადდა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გაიგზავნა უსკოს 16 დადგენილება, საერთო სამსახურის მიერ წარდგენილი პროექტით მომზადდა უსკოს თავმჯდომარის 71 განკარგულება და უსკოს მდივნის 42 განკარგულება.

იურიდიული სამსახური

არჩევნების დანიშვნის დღიდან, იურიდიული სამსახურის მიერ, გარდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით განსაზღვრული ძირითადი საქმიანობისა შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

არჩევნებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაეწია ყველა დონის საარჩევნო კომისიებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ამომრჩევლებს.

საარჩევნო კანონმდებლობითა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით იურიდიული სამსახურის მიერ, მომზადდა შესაბამისი დასკვნები და განმარტებები, რომლებიც დადგენილი წესით წარედგინა, როგორც უმაღლეს საარჩევნო კომისიას, ასევე კომისიის ხელმძღვანელ პირებს.

იურიდიული სამსახურის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა სამსახურებთან ერთად, შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე მიღებული იქნა უსკოს 16 დადგენილება და 54 განკარგულება.

აღნიშნული სამართლებრივი აქტებიდან აღსანიშნავია უსკოს შემდეგი დადგენილებები:

2016 წლის 8 ოქტომბერს ერთდროულად ჩატარდა საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ერთდროულად ტარდება საერთო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, აქედან გამომდინარე უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის გამოყენებული იქნა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო ოლქები და უბნები. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეიქმნა 6 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

აქედან, სამი მაჟორიტარული ოლქი N68, N69 და N70 შეიქმნა ცესკოს მიერ 2016 წლის 31 მარტის N161 განკარგულებით, ხოლო სამი საარჩევნო ოლქი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 110¹ მუხლით. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს 2016 წლის მორიგი არჩევნებისათვის, უმაღლესი საარჩევნო კომისია უფლებამოსილი იყო არჩევნები ჩაეტარებინა, მხოლოდ ცესკოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ N68, N69 და N70 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. მოცემული საკანონმდებლო წინააღმდეგობა შეუძლებელს ხდიდა არჩევნების გამართვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რითაც ირღვეოდა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა უფლებები, იზღუდებოდა საარჩევნო კანონმდებლობის გამოყენება და არჩევნების გამართვა. ვინაიდან უმაღლესი საარჩევნო კომისია არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებასა და უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამართვას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილი იყო მიეღო დადგენილება, თავის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გაუთვალისწინებელ საარჩევნო და სხვა პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ მიიღო „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ 2016 წლის 14 ივლისის N7 დადგენილება, რომლითაც დარეგულირდა აღნიშნული საკითხი და განისაზღვრა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები და ნომრები შეესაბამება საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-თ და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილ საარჩევნო ოლქებს, მათ საზღვრებს და ნომრებს.

აღსანიშნავია უსკოს 2016 წლის 23 სექტემბრის №14 დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურის გამართვისათვის „ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“. ვინაიდან პირველი ტურის შედეგებიდან გამომდინარე ვერცერთმა მაჟორიტარმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმების საჭირო რაოდენობა, აუცილებელი გახდა მეორე ტურის გამართვა. ამასთან 5 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში (№68, №69, №70, №71 და №72) ერთდროულად ტარდებოდა როგორც საქართველოს პარლამენტის ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტური, ხოლო №73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში (ქედის, შუახევისა და ხულოს გაერთიანებული მაჟორიტარული ოლქი) არჩევნების მეორე ტური გაიმართა მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, შესაბამისად აუცილებელი გახდა კანონით განუსაზღვრელი პროცედურების განსაზღვრა. აღნიშნული დადგენილებით დარეგულირდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების ვადები, საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ვადები და წესები, მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების წარმომადგენლების უფლებამოსილებების ვადები და არჩევნებთან დაკავშირებული პროცედურები.

ვინაიდან №73 მაჟორიტარულ ოლქში ტარდებოდა მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური, საერთო, ეკონომიკურ და საორგანიზაციო სამსახურებთან ერთად მომზადდა 2016 წლის 11 ნოემბრის N16 დადგენილების პროექტი „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“.

რომლითაც დარეგულირდა და დადგინდა უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების დაფინანსების წესი.

საარჩევნო ადმინისტრაციებმა, როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში განიხილეს 328 საჩივარი, - მათ შორის საარჩევნო უბნებში 133, საარჩევნო ოლქებში 194, უმაღლეს საარჩევნო კომისიაში 1.

საუბნო საარჩევნო კომისიებმა განიხილეს ყველა საჩივარი და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია - (N68, N69, N70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი)

პირველ ტურში განიხილა 82 საჩივარი: დააკმაყოფილა 18, არ დააკმაყოფილა 55, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 52, განუხილველად დატოვა 7, საჩივრის ავტორის მიერ გამოთხოვილი იქნა 4 საჩივარი.

მეორე ტურში განიხილა 42 საჩივარი: დააკმაყოფილა 14, არ დააკმაყოფილა 11, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 16, საჩივრის ავტორის მიერ გამოთხოვილი იქნა 1 საჩივარი.

N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია - (N71 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი)

პირველ ტურში განიხილა 13 საჩივარი: დააკმაყოფილა 6, განუხილველად დატოვა 1, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 6 საჩივარი.

N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისია - (N72 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი)

პირველ ტურში განიხილა 25 საჩივარი: დააკმაყოფილა 4, არ დააკმაყოფილა 7, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 14 საჩივარი.

მეორე ტურში განიხილა 9 საჩივარი: დააკმაყოფილა 2, არ დააკმაყოფილა 5, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 2 საჩივარი.

N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისია - (N73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი)

პირველ ტურში განიხილა 18 საჩივარი: დააკმაყოფილა 6, არ დააკმაყოფილა 6, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 5, განუხილველად დატოვა 1 საჩივარი.

მეორე ტურში განიხილა 5 საჩივარი: არ დააკმაყოფილა არცერთი საჩივარი.

უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ განიხილა 1 საჩივარი

საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“.

დავის საგანი - უცხო ქვეყნის მოქალაქის წინასაარჩევნო აგიტაციაში შესაძლო მონაწილეობის გამო სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ, №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების (წერილობითი პასუხი) ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საჩივრის შინაარსი - 2016 წლის 30 ივლისს საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიერ ქ. ბათუმში, წინასაარჩევნო აგიტაციისას ამომრჩევლისათვის უცხო ქვეყნის მოქალაქის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიდეო ჩანაწერის ჩვენება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენელს, N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე, იმ საფუძველით, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა, საქართველოს მოქალაქეების თანაბრად შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივარი 2016 წლის 09 აგვისტოს უსკოს N26 განკარგულებით განუხილველად იქნა დატოვებული, იმ საფუძველით, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 93-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე უსკო არ იყო უფლებამოსილი ორგანო შეედგინა სამართალდარღვევის ოქმი. უსკოს გადაწყვეტილება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის მიერ გასაჩივრდა სასამართლოში.

2016 წლის 11 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო უსკოს 2016 წლის 09 აგვისტოს N26 განკარგულება, რომელიც უსკოს მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 აგვისტოს განჩინებით (3/ბ-406-16 წ) უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ განმარტა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან მიმართებაში უსკო, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, უფლებამოსილია განიხილოს საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები, ამავე გადაწყვეტილებით უსკოს დაევალა არსებითად განეხილა აღნიშნული საჩივარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ 2016 წლის 25 აგვისტოს არსებითად განიხილა და არ დააკმაყოფილა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-2 მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება ეკრძალება უცხო ქვეყნის მოქალაქეს. ამასთან, წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობის მიღებისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს X თავით. კერძოდ, 79-ე მუხლით, რომლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. როგორც ცნობილია, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო უკრაინის მოქალაქეობა და შესაბამისად, იგი წარმოადგენს უცხო ქვეყნის, კერძოდ, უკრაინის მოქალაქეს. ასევე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა, საქართველოს მოქალაქეების თანაბრად, შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ზემოხსენებული საკანონმდებლო ნორმის ანალიზის შედეგად, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, ამავდროულად არ იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და არის სხვა ქვეყნის მოქალაქე, მის მიერ საარჩევნო კოდექსით აკრძალული ქმედების განხორციელება ვერ გახდებოდა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების, მათ შორის სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებათა გამო, ზემოთ აღნიშნული საჩივრის გარდა სასამართლოში წარდგენილი იქნა 2 სარჩელი.

1. საჩივრის ავტორი საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“.

დავის საგანი: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, უმაღლესი საარჩევნო კომისიის დავალდებულება ახალი სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე“.

2016 წლის 21 ოქტომბრის სხდომაზე უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეჯამდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები“, ხოლო 2016 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეჯამდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგები“. შეჯამებული შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა 5% და მეტი მიიღო 4-მა საარჩევნო სუბიექტმა, პროპორციული წესით გასანაწილებელი 15 მანდატი გადანაწილდა 4 საარჩევნო სუბიექტს შორის, კერძოდ: „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“. მიღებული ხმების შესაბამისად, მანდატები გადანაწილდა შემდეგნაირად: „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ 1 მანდატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 5 მანდატი, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 0 მანდატი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 7 მანდატი. მანდატების განაწილების შემდეგ გაუნაწილებელი დარჩა 2 მანდატი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 65-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 15-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი პირველ რიგში თანმიმდევრულად მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა არანაკლებ 5% მაგრამ ვერ მოიპოვეს მანდატები, ხოლო შემდეგ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც, ასეთ შემთხვევაში გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს. მოცემულ შემთხვევაში დარჩენილი გაუნაწილებელი 2 მანდატიდან 1 მანდატი პირველ რიგში მიენიჭა საარჩევნო სუბიექტს „დავით

თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, დარჩენილი მანდატი კი მიენიჭა საარჩევნო სუბიექტს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ვინაიდან შედეგების მიხედვით მან სხვებზე მეტი ხმა მიიღო.

საჩივრის ავტორის აზრით უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ კანონი არ იქნა სწორად აღქმული და გამოყენებული, საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ კონონში ჩანაწერი „ერთი მანდატი მაინც“ გულისხმობს არა იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მიიღეს ერთი და მეტი მანდატი არამედ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მიიღეს მხოლოდ ერთი მანდატი და ასეთად მიაჩნდა საარჩევნო სუბიექტი „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“, შესაბამისად ის ერთი გაუნაწილებელი მანდატი, რომელიც მიენიჭა საარჩევნო სუბიექტს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მათ უნდა მინიჭებოდათ.

2016 წლის 21 ოქტომბრის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები“-ს და 2016 წლის 17 ნოემბრის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგები“-ს თაობაზე საარჩევნო ბლოკი, „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ წარმომადგენლის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი საჩივრები სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები მოსარჩელემ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები და სააპელაციო საჩივრები არ დააკმაყოფილა. როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ერთი მანდატი მაინც ნიშნავს და გულისხმობს არა მხოლოდ ერთ მანდატიან საარჩევნო სუბიექტს არამედ იმ საარჩევნო სუბიექტებსაც რომლებმაც მიიღეს ერთი და მეტი მანდატი. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ მანდატები კანონის სრული დაცვით განაწილდა.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით სხვა განცხადება ან საჩივარი არ დაფიქსირებულა.

საორგანიზაციო სამსახური

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად საორგანიზაციო სამსახური მუშაობდა უსკოს რეგლამენტის, დადგენილებების და განკარგულებების შესაბამისად.

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების პარალელურად გაიმართა, შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია აქტიურად ურთიერთობდა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან. საარჩევნო პერიოდში გაიმართა ცესკოსა და უსკოს ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, შეხვედრის მონაწილეებმა 2016 წლის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების პროცესი განიხილეს და იმსჯელეს საორგანიზაციო და ტექნიკურ საკითხებზე, იმისათვის, რომ არ შექმნილიყო, სამართლებრივი თუ ტექნიკური ხარვეზები ორი არჩევნების ერთდროულად ჩატარებისას. შეხვედრაზე ასევე განხილული იქნა სხვა ტექნიკური და სამართლებრივი საკითხები და დაიგეგმა მათი დარეგულირებისათვის შემდგომი ქმედებები.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ერთდროულად ტარდება საერთო და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი ოლქებისა და უბნების მეშვეობით. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეიქმნა 6 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, აქედან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხალის, ჩაისუბნის, საჩინოს, ჩაქვისა და ციხისძირის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებში (N79 ბათუმის საარჩევნო ოლქის სამოქმედო ტერიტორია) შეიქმნა N68, N69 და N70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გარდა ხალის, ჩაისუბნის, საჩინოს, ჩაქვისა და ციხისძირის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებში (N81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის ტერიტორია) შეიქმნა N71 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა და ქედის მუნიციპალიტეტის მახუნცეთის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში (N83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის სამოქმედო ტერიტორია) შეიქმნა N72 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, ხოლო ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების, გარდა მახუნცეთის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში (N80 ქედის, N82 შუახევის და N84 ხულოს საარჩევნო ოლქების სამოქმედო ტერიტორია) შეიქმნა N73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

საორგანიზაციო სამსახური აქტიურად იყო ჩართული ცესკოს შესაბამის სამსახურებთან ერთად საარჩევნო უბნების შექმნაში. საორგანიზაციო სამსახურის მიერ, ცესკოს შესაბამის სამსახურებთან ერთად, შეგროვდა არჩევნების ჩასატარებლად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და საჭირო დაფინანსების მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ: დაზუსტდა და აღირიცხა საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ინვენტარის რაოდენობა და ტექნიკური მდგომარეობა. საოლქო საარჩევნო კომისიების მდგომარეობა და არჩევნებისათვის მზადყოფნა. დაზუსტდა საარჩევნო უბნების საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები.

საორგანიზაციო სამსახურის მიერ შეიქმნა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის (13 წევრიანი) კომპიუტერული ბაზა. შეგროვდა საოლქო საარჩევნო კომისიებში კვალიფიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და მონაცემების შესახებ ინფორმაცია, საუბნო საარჩევნო კომისიის არჩეულ/დანიშნულ წევრთა რაოდენობისა და მონაცემების შესახებ ინფორმაცია.

საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა საუბნო საარჩევნო კომისიების კომპიუტერული ბაზა (უბნის მისამართი, ტელეფონი, კომისიის შემადგენლობა დამნიშნავი სუბიექტის მითითებით).

მიმდინარეობდა საოლქო საარჩევნო კომისიებისგან ყოველდღიური ინფორმაციის მიღება უბნების შექმნის, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის, პირველი სხდომების გამართვის, კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების (პირველი ტური) გამართვა უზრუნველყოფილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილ 6 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქისა და 348 საარჩევნო უბნის მეშვეობით, მათ შორის N70

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შეიქმნა ერთი სპეციალური უბანი ქ. ბათუმის სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში.

ამომრჩეველთა რაოდენობამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეადგინა 308 506 ამომრჩეველი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2016 წლის 10 სექტემბრის N37 განკარგულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და მათ შემადგენლობაში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებში აირჩა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 6 წარმომადგენელი, რომლებიც მივლენილი იქნენ საოლქო საარჩევნო კომისიებში და აღიჭურვენ ყველა საჭირო ტექნიკური საშუალებებით.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები მათ ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით საარჩევნო უბნებში/ოლქებში შესულ ყველა სახის ინფორმაციას (მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს) დაუყოვნებლივ აწვდიდნენ უმაღლეს საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნდა იმ შენობების ჩამონათვალი, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოიყო მასობრივი საარჩევნო ღონისძიებებისა და სააგიტაციო შეხვედრების ჩასატარებლად.

მოხდა საარჩევნო ოლქების ინფორმირება საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის შესახებ და სტამბაში ბეჭდვის პროცესის მეთვალყურეობაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ. შესაბამისად, შეიქმნა ბიულეტენების ბეჭდვაზე დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელიც ესწრებოდა ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს.

დაიბეჭდა და ოლქებსა და უბნებს ასევე სუბიექტის წარმომადგენლებს გადაეცა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების მიხედვით განისაზღვრა რაოდენობები და წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ:

- საარჩევნო ბიულეტენები;
- კენჭისყრის დღის შედეგების შემაჯამებელი და სადემონსტრაციო ოქმები;
- (მაჟორიტარული, პროპორციული);
- პარტიული და მაჟორიტარ კანდიდატთა სიები;
- არჩევნების გამართვისათვის საჭირო ყველა სახის ინვენტარი და ტექნიკა.

საარჩევნო ოლქებს გადაეცათ უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული ყველა სახის საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმა და სამართლებრივი აქტები, რომელიც ეხებოდა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქსა და უბანს. გარდა ამისა, საორგანიზაციო სამსახურის თანამშრომლები ასრულებენ ყოველდღიურ სამუშაოს – უმაღლეს საარჩევნო კომისიასა და უსკოს წარმომადგენლებს, ასევე ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს შორის ინფორმაციის მიღება-გადაცემას.

კენჭისყრის დღეს მიმდინარეობდა ინფორმაციის მიღება საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ და უბნებზე არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, 12, 17 და 20 საათისთვის კენჭისყრაში

მონაწილე ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ და დაუყოვნებლივ მიეწოდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს უსკოს ვებ-გვერდზე განთავსებისათვის დაინტერესებული პირისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ორგანიზება გაუკეთდა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებას, საოლქო საარჩევნო კომისიებიდან საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული ყველა სახის განცხადება/საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების (განკარგულებების) გადმოგზავნას და მიღებისთანავე იურიდიული სამსახურისათვის გადაცემას.

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში (პირველი ტური) მონაწილეობა მიიღო 163 419 ამომრჩეველმა.

მეორე ტური

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ყველა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 30 ოქტომბერს დაინიშნა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ 6 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან 5 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში (№68, №69, №70, №71 და №72) ერთდროულად ტარდებოდა როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტური, ხოლო №73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნების მეორე ტური გაიმართა მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურის გამართვა უზრუნველყოფილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილ 6 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქისა და 347 საარჩევნო უბნის მეშვეობით.

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების მიხედვით განისაზღვრა რაოდენობები და წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით მეორე ტურისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ:

- საარჩევნო ბიულეტენები;
- კენჭისყრის დღის შედეგების შემაჯამებელი და სადემონსტრაციო ოქმები;
- (მაჟორიტარული, პროპორციული);
- პარტიული და მაჟორიტარ კანდიდატთა სიები;
- არჩევნების გამართვისათვის საჭირო ყველა სახის ინვენტარი და ტექნიკა.

კენჭისყრის დღეს მიმდინარეობდა ინფორმაციის მიღება საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ და უბნებზე არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, 12, 17 და 20 საათისთვის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ და დაუყოვნებლივ მიეწოდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს უსკოს ვებ-გვერდზე განთავსებისათვის დაინტერესებული პირისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ორგანიზება გაუკეთდა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებას, საოლქო საარჩევნო კომისიებიდან საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული ყველა სახის განცხადება/საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების (განკარგულებების) გადმოგზავნას და მიღებისთანავე იურიდიული სამსახურისათვის გადაცემას.

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში (მეორე ტური) მონაწილეობა მიიღო 114 447 ამომრჩეველმა.

ეკონომიკური სამსახური

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების გამოცხადებისთანავე ეკონომიკურმა სამსახურმა უზრუნველყო არჩევნების ჩატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

ეკონომიკური სამსახურის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა სამსახურებთან ერთად შემუშავებული და შემდგომ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი იქნა რიგი დადგენილებების და განკარგულებების პროექტები არჩევნების ფინანსური საკითხების უზრუნველყოფის მიზნით - კერძოდ:

2016 წლის 07 ივნისის №4 დადგენილების პროექტი - „უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“.

2016 წლის 23 ოქტომბრის №15 დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 08 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურისათვის №80 ქედის, №82 შუახვევის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის შესახებ“.

2016 წლის 06 სექტემბრის №36 განკარგულების პროექტი - „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2016 წლის 23 ოქტომბრის №50 განკარგულების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 08 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურში საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის დამხმარე და ტექნიკური პერსონალის რაოდენობის დამტკიცების შესახებ“.

2016 წლის 23 ოქტომბრის №51 განკარგულების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 08 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული სისტემით მეორე ტურისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების ხელფასების განსაზღვრის შესახებ“.

2016 წლის 26 ოქტომბრის №54 განკარგულების პროექტი - „საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის არჩევნების ღონისძიებების დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 743 783 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურების ხარჯი - 2 196 864 ლარი;

- საქონელი და მომსახურების ხარჯი - 497 898 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ხარჯი - 22 121 ლარი;
- სხვა ხარჯი - 26 900 ლარი.

არჩევნების ღონისძიების სრულყოფისათვის გაფორმებული იქნა 117 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის საქონელისა და მომსახურების შეძენის მიზნით.

არჩევნების ღონისძიების განხორციელებისათვის ჩატარებული იქნა ორი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი:

ა) საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის 10 500 ცალი კონვერტების შეძენისათვის, საერთო თანხით 2 599 ლარი;

ბ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ბეჭდვისათვის სულ 4 900 ცალი, საერთო თანხით 3 599 ლარი.

გაწეულ ხარჯებს შორის გამოსაყოფია რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარჯი, როგორცაა:

საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება - 1 130 623 ლარი;

ბიულეტენის ქაღალდის შეძენა და ბეჭდვა - 72 420 ლარი;

საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების დაფინანსება - 26 900 ლარი;

უსკოს აპარატისათვის შეძენილი კომპიუტერული ტექნიკა - 20 480 ლარი;

საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ხარჯი - 15 320 ლარი;

დამზადდა და შეისყიდა - 34 590 ლარის ოთხი საინფორმაციო ვიდეო რგოლი, საინფორმაციო ვიდეო რგოლების გავრცელების მომსახურებაზე გაწეული იქნა - 12 915 ლარი.

საარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებისათვის ყველა სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია კანონმდებლობის სრული დაცვით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უზრუნველყო:

- საზოგადოების ინფორმირება არჩევნების და საარჩევნო პროცედურების შესახებ;
- სარეკლამო კამპანია;
- მედიასთან ურთიერთობა;
- ახალი ვებ-გვერდისა და ლოგოს შექმნა.

სარეკლამო კამპანია - მომზადდა 4 სატელევიზიო ვიდეო-რგოლი, რომლებიც გადაიცემოდა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, ტელეკომპანია „TV-25“-ის და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ საშუალებით. დამზადებული ვიდეო-რგოლები მიმართული იყო ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ცნობადობის ამაღლებისკენ, ვიდეო-რგოლები მოიცავდა ინფორმაციას 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შესახებ. ვიდეო-რგოლი დამზადდა, ასევე არჩევნების მეორე ტურის დანიშნვის შემდეგაც.

ოთხივე ვიდეო-რგოლი ადაპტირებული იყო სმენადაქვეითებულ ამომრჩეველზე, რგოლებს თან ახლდა სურდო თარგმანი.

საინფორმაციო ფლაერები - დამზადდა 7 000 ცალი საინფორმაციო ფლაერი, რომელიც მოიცავდა მოკლე ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისა და 4 ბიულეტენის შესახებ, ასევე უმაღლესი საბჭოს ძირითადი უფლება-მოვალეობების შესახებ. ფლაერების დიდი ნაწილი გაზეთთან „ბათუმელები“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დარიგდა აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში. ასევე უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლებმა ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო მასალა ქ. ბათუმის რამდენიმე ქუჩაზე გაავრცელეს.

ახალი ვებგვერდი (www.usko.ge) - წინასაარჩევნო პერიოდში მომზადდა და ჩაეშვა უსკოს ახალი ვებგვერდი ახალი სახელწოდებითა და დომენით. შემუშავდა ვებ-გვერდის ახალი დიზაინი და ტექნიკური პარამეტრები, როგორც პერსონალური კომპიუტერის, ისე პლანშეტისა და მობილური ტელეფონის გაფართოებისათვის. გამარტივებული სამიუზო სისტემა ამომრჩეველსა და სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევდა იოლად მოეძია სასურველი ინფორმაცია.

კარტოგრაფიული მომსახურება - საარჩევნო უბნისა და ოლქის მისამართების მოძიების გამარტივების მიზნით დამზადდა ელექტრონული რუკა, რომელიც განთავსდა ვებგვერდზე, ასევე გამოყენებული იქნა ბეჭდური სახით.

პრეს-რელიზი - დაინტერესებული პირებისა და მედია საშუალებების წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით უსკოში მიმდინარე პროცესების შესახებ მზადდებოდა პრეს-რელიზები, რომლებიც ქვეყნდებოდა უსკოს ვებ/ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

მედია მონიტორინგი - უსკოს ინიციატივით საინფორმაციო ანალიტიკური კომპანია „აიფიემ კვლევები“ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის აწარმოებდა მედია მონიტორინგს და უსკოს ოპერატიულად აწვდიდა საარჩევნო თემატიკის შესახებ ტელევიზიით, პრესით, რადიოთი და ინტერნეტ საიტებით გასული სიუჟეტებისა და სტატიების შესახებ მასალებს. (40-მდე ჟურნალ-გაზეთი, 12 ტელევიზია, 8 რადიო სადგური და 25-მდე ვებ გვერდი).

სხდომები - საარჩევნო პერიოდში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მომზადებული მედია-რელიზების საშუალებით საზოგადოებას აცნობდა სხდომებზე განსახილველ თემებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს. უმაღლესი საარჩევნო კომისიის ყველა სხდომა იყო საჯარო. ყოველ სხდომაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური იწვევდა მედია საშუალებების, საარჩევნო სუბიექტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

შეხვედრები - წინასაარჩევნო პერიოდში დაიგეგმა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და კომისიის წევრების შეხვედრები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებთან სადაც გაეცნენ ოლქებსა და უბნებში არსებულ მდგომარეობას. უსკოს თავმჯდომარე და მდივანი შეხვდნენ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. რამდენიმე შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა (IRI) და ევროპის ლიბერალ-დემოკრატიული ალიანსის (ALDE) ადგილობრივ დამკვირვებლებთან. შეხვედრებზე განიხილებოდა უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მზადების პროცესი, შესრულებული სამუშაოები და არჩევნების დასრულების შემდგომი პროცედურები. უსკოს თავმჯდომარემ არჩევნების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის დეპუტატებს. უმაღლესი საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარე გარემოს ადაპტირებასთან დაკავშირებით ესაუბრა არასამთავრობო ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისთვის“ წარმომადგენლებს.

მედიის აკრედიტაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში აკრედიტაცია გაიარა 16 მედია საშუალების წარმომადგენელმა, რომლებსაც აკრედიტაციის ვადა გაუგრძელდათ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დღის ჩათვლით. ჯამში აკრედიტებული იყო შემდეგი მედია საშუალებების 129 ჟურნალისტი და ოპერატორი:

1. „ტელეარხი 25“;
2. ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ინტერნეტ გამოცემა „ფაქტ-მეტრი“;
3. მედია კავშირი „ობიექტივი“;
4. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“;
5. სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“;
6. საინფორმაციო სააგენტო „შენი მედია გუნდი“;
7. გაზეთი „ბათუმელები“;
8. ტელეკომპანია „იმედი“;
9. შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარია“;
10. საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“;
11. „სტუდია მანსტრო“;
12. ტელეკომპანია „GDS“;
13. რადიო „თავისუფლება“;
14. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“;
15. საინფორმაციო ცენტრი შპს „რეგნიუს.გე“;
16. საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“.

დამკვირვებლების რეგისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე დამკვირვების მიზნით უსკოში რეგისტრაცია გაიარა 7 ადგილობრივმა და ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლებმა, რომლებსაც უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ, მეორე ტურის შედეგების გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე. ჯამში დარეგისტრირდა 413 დამკვირვებელი შემდეგი ორგანიზაციებიდან:

1. ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“;
2. ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“;
3. ა.(ა).ი.პ. „ახალგაზრდული ინიციატივა მომავალი საქართველოსთვის“;
4. ა.(ა).ი.პ. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“;
5. ა.(ა).ი.პ. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“;
6. ა.(ა).ი.პ. „სამართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია“;
7. ა.(ა).ი.პ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“;
8. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI).

ტრენინგები - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები მედიასთან ურთიერთობის საკითხებში ცოდნის გაღრმავების მიზნით, იმყოფებოდნენ ტრენინგებსა და

სემინარებზე, რომლებიც ჩატარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორგანიზებით ბათუმსა და თბილისში.

ინფორმაციის საჯაროობა - უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ დაკმაყოფილდა 200-მდე მოთხოვნილი ინფორმაცია სატელეფონო, ელექტრონული თუ სოციალური ქსელის საშუალებით. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უზრუნველყო საზოგადოების ინფორმირება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, მათ შორის სავალდებულო ინფორმაციის პრესით გამოქვეყნების ჩათვლით.

არჩევნების დღე - (8 ოქტომბერი) - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაგეგმა და ორგანიზება გაუწია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. კერძოდ, კენჭისყრის დღეს მოეწყო ბრიფინგები - 09:00, 12:30, 18:00 და 21:00 საათზე, რომელზეც უსკოს თავმჯდომარემ საზოგადოებას მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ. კენჭისყრის მეორე დღეს უსკოში გაიმართა 4 საინფორმაციო ბრიფინგი, სადაც უსკოს თავმჯდომარემ და მდივანმა მედიის წარმომადგენლების საშუალებით, საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია წინასწარი პირველადი შედეგების შესახებ, ვებ-გვერდზე ატვირთული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით. დღის ბოლოს 19:00 საათზე კი დასრულდა შემაჯამებელი ოქმების განთავსება საიტზე, უსკოს თავმჯდომარემ ინფორმაცია გაავრცელა რამდენიმე მედია საშუალების პირდაპირი ეთერით.

არჩევნების მეორე ტური - (30 ოქტომბერი) - მეორე ტურის კენჭისყრის დღეს, ისევე როგორც პირველი ტურისას მოეწყო საინფორმაციო ბრიფინგები - 09:00, 12:30, 18:00 და 21:00 საათზე, რომელზეც უსკოს თავმჯდომარემ და მდივანმა საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ. კენჭისყრის მეორე დღეს უსკოში 09:00 საათზე გაიმართა საინფორმაციო ბრიფინგი, სადაც უსკოს თავმჯდომარემ მედიის წარმომადგენლებს გააცნო საბოლოო წინასწარი მონაცემები, რადგან დილის 05:00 საათისთვის უკვე დასრულებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ვებ-გვერდზე განთავსება.

საკადრო სამსახური

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საკადრო სამსახურში 2016 წლის არჩევნების გამოცხადების მომენტისათვის ირიცხებოდა კომისიის 6 წევრი და აპარატის 15 თანამშრომელი, აპარატი შედგებოდა 6 სამსახურისაგან, საერთო, იურიდიული, საორგანიზაციო, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ეკონომიკური და საკადრო სამსახური.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 07 ივნისის №3 განკარგულებით განისაზღვრა არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების და შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობა, ამავე განკარგულებით შტატგარეშე მოსამსახურეების და პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო პერიოდში დანიშნული წევრების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

2016 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას დაემატა 7 კომისიის წევრი, რომლებსაც საარჩევნო პერიოდში ნიშნავენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, ესენია: - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ამგვარად, 2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით უმაღლესი საარჩევნო კომისია შედგებოდა 13 წევრისაგან.

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით უსკოს 2016 წლის 7 ივნისის N2 დადგენილებით შეიქმნა „კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური“, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 18 პირთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება და ისინი სხვადასხვა სამსახურში შემდეგნაირად გადანაწილდნენ: საერთო სამსახურს დაემატა 3 სპეციალისტი, იურიდიულ სამსახურს 1, საორგანიზაციო სამსახურს 2, ეკონომიკურ სამსახურს 3, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს 1 და საკადრო სამსახურს 1 სპეციალისტი, ასევე დაემატა თანაშემწეები კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და კომისიის მდივანს, ამასთანავე კომისიას დაემატა 2 შტატგარეშე დამხმარე მოსამსახურე - 1 კურიერი და 1 დამლაგებელი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან შექმნილი კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებით სამსახური დაკომპლექტდა სამსახურის უფროსითა და 2 სპეციალისტით.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 5 სექტემბრის №34 განკარგულების საფუძველზე, უმაღლეს საარჩევნო კომისიაში 2016 წლის 6 სექტემბრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით განცხადება შემოიტანა უსკოს წარმომადგენლობის მსურველმა 15-მა კანდიდატმა, მათგან უსკოს მიერ 2016 წლის 10 სექტემბრის N37 განკარგულებით აირჩა - ბათუმის №79 და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიებში 2 წარმომადგენელი, ხოლო №81 ქობულეთისა და №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიებში თითო წარმომადგენელი, სულ 6 პირი.

კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური

2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნებისათვის, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 7 ივნისის №2 დადგენილებით უსკოს აპარატში შეიქმნა „კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური“, რომლის უფლებამოსილებაც განისაზღვრა ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური შეიქმნა იმ მიზნით, რომ არჩევნების პერიოდში უზრუნველყოფილიყო კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობა, მოეხდინა უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიური განახლება, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება და საჭირო შემთხვევაში მათი მოდიფიცირებაც, არჩევნების შედეგების უსკოს ვებ-გვერდზე განთავსება.

კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითმა სამსახურმა არჩევნების პერიოდში უზრუნველყო კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობა.

სხვა სამსახურებთან ერთად უზრუნველყო კომისიისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება და კომპიუტერული დამუშავება.

შექმნა კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზა, ახდენდა არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და მოდიფიცირებას.

მოამზადა საარჩევნო დოკუმენტაციის სხვადასხვა ფორმების და ნიმუშების კომპიუტერული დამუშავება.

2016 წლის 8 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის აიწყო და გაიმართა არჩევნების შედეგების ვებ-გვერდზე გამოტანის სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო წინასწარი შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალებას.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიებიდან, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებისთანავე, (როგორც პირველ ასევე მეორე ტურში) ხდებოდა მათი სკანირება და უსკოს ვებ-გვერდზე ატვირთვა, პარალელურად კი მიმდინარეობდა სპეციალური პროგრამის მეშვეობით მონაცემების დამუშავება და უსკოს ვებ-გვერდის შედეგების ველში მათი განთავსება.

უსკოს ვებ-გვერდზე ატვირთული კენჭისყრის შედეგები ავტომატურ რეჟიმში პროექტორის მეშვეობით გადაიციმოდა ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ადმინისტრაციულ შენობაში ხმების წინასწარი დათვლის პროცესისათვის უშუალოდ ედევნებინა თვალყური ან გაცნობოდა უსკოს ვებგვერდის მეშვეობით.

საუბნო საარჩევნო კომისიებიდან შემოსული კენჭისყრის შედეგების ოქმების მონაცემების შეტანა ხდებოდა უწყვეტ რეჟიმში მის დასრულებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ამგვარმა ორგანიზაციამ, უზრუნველყო არჩევნების წინასწარი შედეგების გაცილებით უფრო სწრაფი, გამჭვირვალე და ეფექტური დამუშავება.

უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში 308 506 ამომრჩეველიდან პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 163 419 ამომრჩეველმა.

ყოველი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა:

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №	ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა
68	53 062
69	53 035
70	52 866
71	49 319
72	48 109
73	52 115

პროპორციული საარჩევნო სისტემით სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა:

№	პარტიის/ბლოკის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
1	პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის	4 616	2,93	
3	ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა	9 268	5,89	1
5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	46 628	29,62	5
6	უსუფაშვილი - რესპუბლიკელები	2 363	1,5	
7	თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	348	0,22	
8	დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	8 980	5,7	1
10	შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია	3 834	2,44	
14	დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის	293	0,19	
16	საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია	272	0,17	
19	თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო	1 714	1,09	
23	ჩვენები - სახალხო პარტია	354	0,22	
26	ეროვნული ფორუმი	1 624	1,03	
27	ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები	4 952	3,15	
32	მურმან დუმბაძე - მედეა ვასაძე - ემსახურე საქართველოს	1 133	0,72	
41	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	71 039	45,13	8

5%-იანი ბარიერი გადალახა ოთხმა საარჩევნო სუბიექტმა:

- | | |
|--|---------------------|
| 1. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ | 45,13% (71 039 ხმა) |
| 2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ | 29,62% (46 628 ხმა) |
| 3. „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ | 5,89% (9 268 ხმა) |
| 4. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ | 5,7% (8 980 ხმა) |

მეორე ტური

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობდნენ ორი საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტების - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მაჟორიტარი კანდიდატები:

2016 წლის 30 ოქტომბერს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური.

მეორე ტურის შედეგები			
საარჩევნო ოლქი №	წარმდგენი	მაჟორიტარი კანდიდატები	მიღებული ხმათა რაოდენობა
№68	5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ელგუჯა ბაგრატიონი	33,42% (5 911 ხმა)
	41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“	ვახტანგ წულაძე	66,58% (11 775 ხმა)
№69	5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ნინო ჯინჭარაძე	30,13% (4 580 ხმა)
	41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“	ილია ვერძაძე	69,87% (10 622 ხმა)
№70	5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	გია აბულაძე	28,79% (4 821 ხმა)
	41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“	ნუგზარ სურმანიძე	71,21% (11 925 ხმა)
№71	5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	მამული სურმანიძე	28,49% (5 654 ხმა)
	41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“	გიორგი რომანაძე	71,51% (14 192 ხმა)
№72	5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ქენან კახიძე	27,81% (5 019 ხმა)
	41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“	მერაბ კარანაძე	72,19% (13 031 ხმა)
№73	5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ნუგზარი ამალლობელი	28,56% (6 919 ხმა)
	41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“	ხვიჩა შარაშიძე	71,44% (17 303 ხმა)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეული იქნა უმაღლესი საბჭოს 15 წევრი პროპორციული სისტემით და 6 წევრი მაჟორიტარული სისტემით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად არჩეულნი არიან:

3 „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“

1. გიორგი ცინცილაძე („დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“).

5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

1. ლევან ვარშალომიძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
2. პეტრე ზამბახიძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
3. გია აბულაძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
4. გიორგი დიასამიძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
5. ელგუჯა ბაგრატიონი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“).

8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

1. დავით თარხან-მოურავი („დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“).

41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

1. ნუგზარ სურმანიძე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - №70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
2. დავით გაბაიძე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
3. ირაკლი ჭეიშვილი („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
4. ცოტნე ანანიძე (უპარტიო);
5. დავით თედორაძე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
6. ვლადიმერ მგალობლიშვილი („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
7. დავით ბაციკაძე („საქართველოს კონსერვატიული პარტია“);
8. ნინო ჩხეტია („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
9. გიორგი მანველიძე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
10. ვახტანგ წულაძე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - №68 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
11. ილია ვერძაძე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - №69 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
12. გიორგი რომანაძე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - №71 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
13. მერაბ კარანაძე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - №72 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
14. ხვიჩა შარაშიძე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - №73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.